

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის  
N63 ბინაზე, მოქალაქე ედიშერი ბაქრაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის N63 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ედიშერი ბაქრაძის განცხადება /2012 წლის 23.10 Nბ-8290/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის N63 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის N63 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ედიშერი ბაქრაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N41 საცხოვრებელი სახლის N63 ბინაზე /საერთო ფართობი 66,43 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 41,81 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,62 კვ.მ./ მოქალაქე ედიშერი ბაქრაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ნ.კატკაჭიშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე